თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## ვის სურს ქუთაისის მეროზა

მე-3 გვერდზე



## 1 ივლისიდან 100 ქულიანი მართვის მოწმობის სისტემა ქალაქში შევიდა

მე-2 გვერდზე



№5 (767) 3 - 9 ივლისი, 2017 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

მურმან გუბელაძე:

შენი ხმა საკრებულოში

# „სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი თავიანთი კორპუსების დახვეტა-დასუფთავებასაც კი ჩვენგან ითხოვს“

**გაზეთი „პოსტსკიპტუმი“ აგრძელებს რუბრიკას „შენი ხმა საკრებულოში“, რომლის მიზანია თვითმმართველობის არჩევნებამდე იმ მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შეფასება, რომელიც მოსახლეობამ 2014 წელს აირჩია.**

**დღევანდელი ჩვენი რუბრიკის სტუმარია ქუთაისის ავტოქარხანის მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც მმართველ ხელისუფლებას წარმოადგენს.**

* * *

**ინფორმაცია ავტობიოგრაფიიდან:**
**მურმან გუბელაძე:** დაბადების თარიღი 06.07.1959; განათლება -უმაღლესი (32-ე საჯარო სკოლის პედაგოგი).

* * *

ბატონი მურმან გუბელაძე კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარობის კანდიდატად 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებში დაასახელა. ამომრჩეველმა აღნიშნულ კანდიდატს სრული ნდობა გამოუცხადა და მეოთხე წელია ბატონი მურმანი ავტოქარხანის „ხმაა“ საკრებულოში.
რამდენად კმაყოფილი არიან ამომრჩევლები თავიანთი არჩევანით და მურმან გუბელაძის 4 წლიანი საქმიანობით, ამის გასარკვევად ქუჩის გამოკითხვა ჩავატარეთ. დაახლოებით 30 ადამიანს გავესაუბრეთ.
„კარგი პედაგოგი და კარგი ადამიანია,- როგორც მაჟორიტარს კი არ ვიცნობთ,“ - ასეთი პასუხი გაგვცა გამოკითხულთა უმრავლესობამ.
***
წყლით სავსე სარდაფები, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების არარსებობა გზებზე, გაუკრეჭავი გაზონები, არასაკმარისი ურნები - ეს იმ პრობლემების არასრული ჩამონათვალია,რომელიც გამოკითხული მოსახლეობის ნაწილმა დაგვისახელა. მატივე თქმით, ეს პრობლემები იდგა 2015 წელშიც და დღესაც იგივეა.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

# თამბაქოს ინდუსტრიის ახალი მზაკვრული გეგმა

## ხელისუფლება მკვლელ ბიზნესს გაურიგდა?!

**თამბაქოს კონტროლის ალიანსის სპეციალური განცხადება**



თაამბაქოს კონტროლის ალიანსი სკანდალურ ბრალდებას ავრცელებს. ორგანიზაციის განცხადებით, აღმასრულებელი ხელისუფლება თამბაქოს ინდუსტრიის ზეწოლით, თამბაქოს კონტროლის შესახებ ახლახან გამკაცრებული კანონის შეცვლას, მეტიც შერბილებას ითხოვს და პარლამენტს ცვლილების ახალ პროექტს სთავაზობს, რომლის მიხედვით საქართველოში თამბაქოს ნაწარმი სადა შეფუთვით რეალიზაციის 4 წლით გადავადებას ითხოვს.
„28 ივნისს, სანდო წყაროზე დაყრდნობით, გამოვააშკარავეთ თამბაქოს ინდუსტრიის მზაკვრული გეგმა, დაბლოკოს ახლად მიღებული თამბაქოს კონტროლის კანონის ერთ-ერთი მთავარი მუხლი, - თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის სტანდარტიზების შესახებ მუხლების ამოქმედების ვადად 2018 წლის 1 იანვრის ნაცვლად 2022 წლის 31 დეკემბერი შეიტანონ. აღნიშნული პროექტის დამუშავება კონფიდენციალურ გარემოში, ფინანსთა სამინისტროში, ყოველგვარი საჯარო განხილვის გარეშე მიმდინარეობს და ცდილობენ, რომ მიმდინარე კვირაში საქართველოს პარლამენტის ბოლო სესიაზე ან სპეციალურად დანიშნულ სესიაზე დაჩქარებული წესით მიიღონ. ყველაფერი კეთდება იმისათვის რომ არ მოეწყოს არავითარი საჯარო განხილვა, პროცესში არ ჩაერთონ თამბაქოს კონტროლის ექსპერტები და კანონის ავტორები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საზოგადოება, რათა არაფერმა შეუშალოს ხელი თამბაქოს ინდუსტრიის მზაკვრული გეგმის განხორციელებას.
როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზებული შეფუთვის შესახებ გადაწყვეტილება მოზარდთა დაცვის მიზნით მიიღო. თამბაქოს კოლოფების დღევანდელი შეფუთვა უმძლავრესი იარაღია ბავშვების მწეველობაში ჩასათრევად. მოსალოდნელი გადავადებით კი ათასობით ჩვენი ახალგაზრდა კვლავაც დამოკიდებული იქნება ამ სასიკვდილო პროდუქტზე და ეს ტრაგედია არ დასრულდება. ამასთან, თუ თამბაქოს ინდუსტრიას აღნიშნული მცდელობა გაუვა, შესაძლოა, გადავადებები კანონის ყველა სხვა მნიშვნელოვან მუხლსაც შეეხოს.
თამბაქოს კონტროლის ალიანსი ვარაუდით, საქმე გვაქვს ელიტარულ კორუფციასთან ან არაკომპეტენტურობასთან. ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომელთაც ამ გადაწყვეტილების მიღება განუზრახავთ, შესაძლოა არ ესმით რამდენ მოზარდს, ახალგაზრდას გაწირავენ სასიკვდილო პროდუქტზე მიჯაჭვულობისათვის, რამდენად სამარცხვინოდ გამოჩნდებიან არამხოლოდ საქართველოს მოსახლეობის თვალში. ასეთი მზაკვრული გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ხელისუფლებას დამამცირებელ მდგომარეობაში ჩააგდებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში, თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციაზე, მსოფლიო ბანკში და უამრავ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მეზობელ და ევროკავშირის ქვეყნებთან.
მიმდინარე წლის 17 მაისამდე, ვიდრე თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონს მივიღებდით, საქართველო თამბაქოს მოხმარების შეზღუდვის მხრივ ჩამორჩენილ ქვეყნად ითვლებოდა. როგორც სჩანს, თამბაქოს ინდუსტრიამ ამ გადაწყვეტილების მიმღებთ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ სამარცხვინო გარიგება შესთავაზა, ან საქმე გვაქვს სრულ არაკომპეტენტურობასთან, როგორც ხშირად მომხდარა, როდესაც დახურულ კარს მიღმა ისეთი საკითხები წყდება, რომელზეც არჩევანი მოსახლეობის ინტერესებსა და კერძო ბიზნესის მომხვეჭელურ გეგმებს შორის უნდა გაკეთდეს.
თამბაქოს ინდუსტრიის დაკვეთით მომზადებულ ცვლილებათა პროექტში შეუფარავად არის აღნიშნული, რომ ცვლილების მიზანია თამბაქოს მწარმოებლების და მისი მომხმარებლების უფლებების დაცვა.
კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელის გიორგი კვირიკაშვილისა და საქართველოს პარლამენტისგან, გასაჯაროვდეს პროცესში ჩართული ყველა პირის ვინაობა, მათი კავშირები თამბაქოს ინდუსტრიასთან და საქართველოს პარლამენტმა არ დაუშვას ყოველგვარი განხილვის და მსჯელობის გარეშე თამბაქოს ინდუსტრიის მსგავსი გეგმის რეალიზაცია. როგორც ცნობილია, თამბაქოს კონტროლის ახალი კანონის ყველა მუხლი მომზადდა ამ საქმის უმაღლესი კვალიფიკაციის ექსპერტთა და საერთაშორისო ორგანიზაციების უშუალო ჩართულობით, საქართველოს მოსახლეობის ინფორმირების მაღალი დონით და ახლა, მასში უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შეტანაც კი, მით უფრო ცვლილებაში მონაწილე ყველა მხარის გვერდის ავლით, მალულად, მზაკვრულად, სრულიად დაუშვებელი და მიუღებელია.

FCTC

PSnews.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

# 1 ივლისიდან 100 ქულიანი მართვის მოწმობის სისტემა ძალაში შევიდა

1 ივლისიდან ყოველ მძღოლს მიენიჭა 100 ქულა. საგზაო მოძრაობის წესების ყოველ დარღვევაზე მძღოლს ქულები აკლდება. მძღოლს, რომელიც იმდენად ხშირად დაარღვევს მოძრაობის წესებს, რომ 100 ქულას გაფლანგავს, მართვის მოწმობა შეუჩერდება და მისი ხელახლა აღება მოუწევს.
**რამდენი ქულა ჩამოგეჭრებათ კონკრეტულ დარღვევებზე:**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიხედვით ქულათა შემცირების სისტემა ასეთია:**

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისთვის - 30 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 40 ქულა; სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა წინასწარი შეცნობით ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირისათვის – 40 ქულა;

იმ ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც არ გაუვლია გზისთვის ვარგისობაზე ავტოსატრანსპორტო საშუალების სავალდებულო პერიოდული ტესტირება (გამოცდა) დადგენილი წესით, ან მესაკუთრის ან სხვა მართლზომიერი მფლობელის მიერ სხვა პირისათვის ასეთი სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა – 15 ქულა;

ავტოსატრანსპორტო საშუალებით მოძრაობისას მძღოლის ან მის გვერდით მჯდომი მგზავრის მიერ უსაფრთხოების ღვედის გამოუყენებლობა - 5 ქულა;

მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართვის დროს მძღოლის მიერ მობილური კომუნიკაციის საშუალებით სარგებლობა – 15 ქულა; მოპედით ან მოტოციკლით მოძრაობისას მძღოლის ან/და მგზავრის მიერ შეკრული მოტოჩაფხუტის გამოუყენებლობა – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს მართვის მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, ან სატრანსპორტო საშუალების მართვა პირის მიერ, რომელსაც თან არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის დროებითი ნებართვა – 5 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც აქვს გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა, საჭის სამართავი მექანიზმი ან მისაბმელი მოწყობილობა, ანდა მწყობრიდანაა გამოსული ფარები, უკანასაგაბარიტო მაშუქები დღე-ღამის ბნელ დროს, ან მინის საწმენდი მექანიზმი წვიმის ან თოვლის დროს, ანდა დარღვეულია ძრავის კვების სისტემის ჰერმეტულობა – 5 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელსაც გამონაფრქვევში აქვს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ისეთი შემცველობა, რომელიც აჭარბებს დადგენილ ნორმას – 10 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც თვითნებურად არის გადაკეთებული – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს იმ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობა, რომელი კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალებასაც მართავს, – 15 ქულა.
იმ სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომლის მინები დამუქებულია ან მათი შუქგამტარობა შეზღუდულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის დარღვევით – 5 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის მეორედ ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა, ხოლო მისი მესამედ და შემდეგ ყოველი მომდევნო ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა;
სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესების დარღვევით გათვალისწინებული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა;




სატრანსპორტო საშუალებაზე სპეციალური ციმციმა სიგნალის ან/და ხმოვანი სიგნალის ან/და სპეციალური ხმამაღლამოლაპარაკე ხელსაწყოს დაყენება ან/და ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებებისათვის განსაზღვრული შეფერილობის გამოყენება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ განსაზღვრული წესის დარღვევით – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა წლის განმავლობაში – 20 ქულა; აღნიშნული სპეციალური ხელსაწყოს არადანიშნულებით გამოყენება, ან ასეთი ხელსაწყოთი აღჭურვილი სატრანსპორტო საშუალების შეუფერხებლად გატარების წესების დარღვევა – 10 ქულა; იმ სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი ან რომელიც ახორციელებს ესკორტს ან რომელსაც მიაცილებენ – 10 ქულა; სასწრაფო-სამედიცინო დახმარების, სახანძრო-სამაშველო ან პოლიციის შესაბამისი ამოსაცნობი ნიშნების მქონე სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის შეფერხება, რომელზედაც ჩართულია სპეციალური სიგნალი – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 40 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების სამართავად გადაცემა არასრულწლოვნისთვის (გარდა იმ პირისა, რომელსაც მინიჭებული აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება) ან იმ პირისათვის, რომელსაც არ აქვს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ან ეს უფლება შეჩერებული აქვს სხვა დარღვევისათვის – 15 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 25 ქულა; მისი განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 30 ქულა;
"B" კატეგორიის ან "A1" ან "B1" ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე 18 წლამდე ასაკის პირის მიერ მგზავრთა გადაყვანა შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით (მათ შორის, ტაქსით) ან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე მძღოლად მუშაობა – 20 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სახელმწიფო სანომრე ნიშნის გარეშე, ან სხვაგვარად შეცვლილი სახელმწიფო სანომრე ნიშნით, ან სატრანსპორტო საშუალების საქარე მინაზე დამაგრებული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 10 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა, რომელიც არ არის რეგისტრირებული დადგენილი წესით – 20 ქულა; სატრანსპორტო საშუალების მართვა წინასწარი შეცნობით სხვისი ან შენიღბული სახელმწიფო სანომრე ნიშნით – 30 ქულა;

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე მძღოლის მიერ შემთხვევის ადგილის მიტოვება ან საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მონაწილე სატრანსპორტო საშუალების შემთხვევის ადგილიდან გადაადგილება, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, – 15 ქულა; სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ იმ პოლიციელის მოთხოვნის შეუსრულებლობა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხოებას და ზედამხედველობს საგზაო მოძრაობის წესების დაცვას, – 20 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან საგზაო მოძრაობის შეფერხება – 35 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს ადგილობრივ საქალაქო, საქალაქთაშორისო ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ საერთაშორისო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანას – 25 ქულა;

სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება 15 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის შეფერხება – 30 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევა, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 40 ქულა;
ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა – 5 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 10 ქულა;
– მძღოლის მიერ საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის, ბუქსირების, გარე სანათი ხელსაწყოთი, ხმოვანი სიგნალით ან საავარიო შუქსიგნალიზაციით სარგებლობის, სასწავლო სვლის, საცხოვრებელ ზონაში ან გზაზე მოძრაობის წესების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის პრიორიტეტის ან/და საჭაპანო ტრანსპორტის მართვის წესების დარღვევა, ან მოტოციკლით ან სხვა სატრანსპორტო საშუალებით ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა, რაც აფერხებს საგზაო მოძრაობას ან საშიშროებას უქმნის მოძრაობის უსაფრთხოებას – 5 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებებით ორგანიზებულად გზის გადაკეტვა ან ჯგუფურ მოძრაობაში მონაწილეობა ქალაქში ან სხვა დასახლებულ პუნქტში, რა დროსაც სრულად არის დაკავებული გზის სავალი ნაწილი – 10 ქულა;
გზის სავალ ნაწილზე სატრანსპორტო საშუალებათა განლაგების, მოძრაობის დაწყების ან/და მანევრირების წესების დარღვევა – 10 ქულა;

სატრანსპორტო საშუალებაზე საცნობი ნიშნის დამაგრების წესის დარღვევით მოძრაობა – 5 ქულა;
– მარეგულირებლის ან შუქნიშნის ამკრძალავ ნიშანზე გავლის წესების, პრიორიტეტული ("დაუთმე გზა", "მოძრაობა გაუჩერებლად აკრძალულია") ან ამკრძალავი ("შესვლა აკრძალულია", "მოძრაობა აკრძალულია") ნიშნის მოთხოვნის დაუცველობა, გასწრების, გზაჯვარედინის, რკინიგზაზე გადასასვლელის გავლის წესების დარღვევა, გავლის უპირატესობის მქონე სატრანსპორტო საშუალებისათვის დაბრკოლების შექმნა – 15 ქულა;

შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა – 10 ქულა; აღნიშნული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა 1 წლის განმავლობაში – 20 ქულა; შემხვედრი სატრანსპორტო ნაკადის გამყოფი უწყვეტი ღერძულა ხაზის გადაკვეთა და მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით მოძრაობა – 30 ქულა;
აღნიშნული სამართალდარღვევები, რომლებსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა ან მოძრაობის ისეთი შეფერხება, რომელმაც გამოიწვია საცობის შექმნა – 20 ქულა;
ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა საავარიო ვითარების შექმნა – 20 ქულა;
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომლებსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, აგრეთვე სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 25 ქულა;

ქვეითებთან მიმართებით მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, რომელსაც მოჰყვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, – 30 ქულა;
საგზაო მოძრაობის მონაწილის (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მძღოლისა) მიერ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა ან/და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი სიგნალისადმი დაუმორჩილებლობა, აგრეთვე საგზაო ნიშნის ან საგზაო მონიშვნის მოთხოვნათა უგულებელყოფა – 10 ქულა; აღნიშნული ქმედების განმეორებით ჩადენა ერთი წლის განმავლობაში – 15 ქულა; საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, შეთანხმებებითა და კონვენციებით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა – 25 ქულა;

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე, რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება – 20 ქულა;

საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის "საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის მწარმოებელი სატრანსპორტო საშუალებების ეკიპაჟების მუშაობის შესახებ" ევროპის შეთანხმების (AETR) წესების დარღვევით განხორციელება – 15 ქულა.

## მურმან გუბელაძე:

შენი ხმა საკრებულოში

# „სამწუხაროდ, მოსახლეობის ნაწილი თავიანთი კორპუსების დახვეტა-დასუფთავებასაც კი ჩვენგან ითხოვს“

**პირველი** გვერდიდან

****

საკუთარი საქმიანობის და გამოთქმული მოსაზრებების შეფასება ვთხოვეთ თვითონ მაჟორიტარს.
მურმან გუბელაძეს ძალიან გაუკვირდა ის ფაქტი, რომ მისი ამომრჩეველი არ იცნობს, თუმცა განსხვავებული არგუმენტი ვერ დაგვისახელა. „ჩემი ამომრჩეველი ადრიდან მიცნობს, სხვა სამსახურებიდანაც. მოსახლეობის ყველა პრობლემა გულთან ახლოს მიმაქვს, ჩემი მეზობლები ჩემ მზეს იფიცებენ, რომ შემხვდებიან და მიკვირს, ასე რატომ ამბობენ. "
მურმან გუბელაძეს სამსახურში, ავტოქარხანის მუნიციპალიტეტში გავესაუბრეთ. მისი თქმით, პარასკევი დღე 11:00 საათიდან მოქალაქეებთან შეხვედრებს ეთმობა, თუმცა ჩვენი იქ ყოფნის დროს არავინ მოსულა. ბატონმა მურმანმა ვერც კონკრეტული ციფრი დაგვისახელა, თუ რამდენი ამომრჩევლის განცხადება შევიდა დეპუტატთან ამ ხნის მანძილზე.
დეპუტატის თქმით, ის წინასაარჩევნოდ „ოქროს კოშკების“ აშენებას არავს დაპირებია და რაც შეუძლია მისი კომპეტენციის ფარგლებში, აკეთებს.
მურმან გუბელაძემ გვითხრა, რომ მოსახლეობის მიერ დასახელებული ყველა პრობლემა შესაბამის ორგანოებში დაყენებული აქვს, რადგან ყველა პრობლემის გადაჭრა თვითონ არ შეუძლია, თუმცა ზოგჯერ სწორედ ამ ორგანოების მიერ ყოვნდება პრობლემური საკითხების გადაჭრა, რაც დეპუტატისთვისაც მიუღებელია. მან საუბრისას ისიც აღნიშნა,რომ სოციალური პრობლემებით დამძიმებული მოსახლეობა ხშირად უფრო პირადი საჭიროებების მიზნით აწუხებს, ვიდრე საერთო სატკივარით.
— მოხუცი ქალბატონები ,რომლებიც ოპერაციის დაფინანსებას ითხოვდნენ, პირადად შემიყვანია საკრებულოში ხელკავით და სხვადსხვა სარეზერვო ფონდების დახმარებით მოგვიძებნია საჭირო თანხა. ისეთი ადამიანებიც მოსულან ჩემთან,რომლებიც მათი მდგომარეობის გათვალისწინებით არ საჭიროებდნენ ბიუჯეტიდან დახმარებას, მათ ცხადია, უარით ვისტუმრებდი. ისინი ალბათ ნაწყენი არიან და არც მიკვირს. მართლა კარგად ვიცნობ ამ უბანს და ყველას მდგომარეობა ვიცი, ვერავინ ვერ იტყვის, რომ მე სხვისი გსაჭირი გულთან ახლოს არ მიმეტანოს" — ამბობს ქუთაისის საკრებულოს დეპუტატი მურმან გუბელაძე
მოსახლეობის კრიტიკას დეპუტატი გაგებით ეკიდება, რადგან ფიქრობს, რომ მმართველი ხელისუფლების წარმომადგენლისგან ყოველთვის მეტს ითხოვენ. "კი ბატონო, ყველა საკითხი ვერ მოვუგვარე, მაგრამ განათებები რომ


მურმან გუბელაძე

გავაკეთეთ და რაღაცებიც შევაკეთეთ, ამასაც არავინ ამბობს. სამწუხაროდ, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ მოთხოვნებს აყენებს და თავად არანაირი მოქალაქეობრივი თუ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა არ გააჩნია. თავიანთი კორპუსების სადარბაზოების დახვეტა-დასუფთავებასაც კი ჩვენგან ითხოვენ"— ამბობს მურმან გუბელაძე.
ბატონმა მურმანიმ საუბრის ბოლოს გვითხრა,რომ მაჟორიტარობა მისთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა არის და ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი, მომვალ არჩევნებში კვლავ მიიღებს თუ არა მონაწილეობას. "თუ პარტია ჩათვლის,რომ მე საჭირო ვარ, დავფიქრდები, ვიყარო თუ არა კენჭი, ჯერ არ მაქვს გადაწყვეტილი."

**ლიკა დევდარიანი**

# სახელმწიფომ კანონით უნდა დაარეგულიროს, გადაჭრას შშმპ-თა ცხოვრების, სწავლისა და დასაქმების პრობლემები

**გასულ კვირაში, თბილისში, რუსთაველის გამზირზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქცია-მსვლელობა გაიმართა. აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას მათი პრობლემებით დაინტერესებისაკენ მოუწოდეს. რაც მთავარია, აქციაზე პირველად, ამდენი წლის მანძილზე, გაჟღერდა ზუსტი, სწორი გზავნილი: „შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს!“, ნაცვლად მოდადქცეული ფრაზისა: „არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები“.**



მოგეხსენებათ, აბსოლუტური თავისუფლებაც არ არსებობს. შეზღუდული შესაძლებლობებიც მრავალგვარია, უბრალოდ, მასთან ერთად თანაცხოვრება უნდა შეძლოს ყველამ და თითოეულმა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ითხოვენ იმას, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა, რაშიც სახელმწიფოს ხელშეწყობაა აუცილებელი. ეს ეხება შშმ პირთათვის გარემოს ადაპტაციის, განათლების, სამედიცინო მომსახურეობისა და დასაქმების საკითხების დროულად განხილვა-გადაწყვეტას.
დღეს ქვეყანაში 75 არასამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაცია მუშაობს შშმ პირთა საკითხების გადაჭრის გზებზე. 14 წელია პირადად ვაკვირდები ამ პროცესს და შემიძლია ვთქვა, რომ ამ მხრივ უმნიშვნელო ძვრებია. საქმე წინ არ მიდის, ერთ ადგილს ვტკეპნით. ცნობილია, მშენებლობა საძირკვლის გაჭრით იწყება და არა ჰაერში, შენობის გადახურვით. საძირკველი გაიჭრა, კერძოდ, გაეროს მიერ 2006 წელს მიღებული შშმპ კონვენციის რატიფიცირება 2013 წელს პარლამენტმა განახორციელა (წინა მოწვევის პარლამენტარებმა რატიფიცირებისთვის ვერ „მოიცალეს“), მაგრამ ყველაფერი აქ შეჩერდა. უფრო სწორად, რაღაც „ფაცი-ფუცი“ კი შეიმჩნევა, თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ უპირველესი პრიორიტებები აშკარად არ არის განსაზღვრული და რადგან გაზაფხულს ერთი მერცხალი ვერ მოიყვანს, თითო-ოროლა, სხვადასხვა პროგრამის მონაწილე შშმპ-ის მდგომარეობის გაუმჯობესება, საერთო სურათს ვერ ცვლის.
ან რა უნდა მოსთხოვო არასამთავრობოებს?! მათ შეუძლიათ, შეისწავლონ ერთი რომელიმე საკითხი და რეკომენდაციები წარუდგინონ სახელმწიფოს, თვითონ მათი მოგვარების არანაირი ბერკეტი არ გააჩნიათ. ყველაფერი სახელმწიფოს კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. სწორედ, სახელმწიფომ კანონით უნდა დაარეგულიროს, გადაჭრას შშმპ-თა ცხოვრების, სწავლისა და დასაქმების პრობლემები ისე, რომ თითოეულმა შშმპ-მა იგრძნოს მდგომარეობის გაუმჯობესება! აი, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და საქართველოში მცხოვრებ შშმპ-ს მიეცემათ ნორმალური არსებობის საშუალება. კანონი საქართველოში არის და არც არის, ამიტომ:

„არა - მოჩვენებით პოლიტიკას!
არა - მოჩვენებით ჩართულობას!
არა - უმოქმედო „სამოქმედო გეგმებს!
არა - არაფრისმომცემ პიარ-აქციებს!“

**ქეთევან ბახუტაშვილი**

წინასაარჩევნო ქრონიკა

# ვის სურს ქუთაისის მეროზა



**საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღად პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ოქტომბრის მესამე კვირის ბოლო, 22 ოქტომბერი გამოაცხადა.**
**არჩევნების დანიშვნის აქტი კი, არჩევნებამდე 60 დღით ადრე გამოიცემა, ანუ აგვისტოს ბოლოს.**
**პრეზიდენტის თქმით, არჩევნების ჩატარების თარიღი მთავრობასთან შეთანხმებულია.**

არაოფიციალრად, საარჩევნო კამპანია უკვე დაწყებულია.
აღსანიშნავია, რომ წელს 12 ქალაქის ნაცვლად, ქალაქის მერის არჩევა 5 ქალაქში მოხდება, შესაბამისადაც, პოლიტიკურ პარტიებს მერობის კანდიდატების დასახელება 5 ქალაქში მოუწევთ.
ამ მხრივ, ქუთაისში ჯერჯერობით მხოლოდ ვერსიები განიხილება და „ზემოდან“ გადაწყვეტილებებს ელოდებიან.

✔

"ნაციონალურ მოძრაობაში" ქუთაისის მერობის სავარაუდო კანდიდატად ხატია დეკანოიძე დაასახელეს, თუმცა არის სხვა ადგილობრივი კანდიდატების ვერსიებიც, რომელსაც ჯერჯერობით ადგილობრივ ორგანიზაციაში არ ამბობენ.

✔

ცნობილი გახდა , რომ „ევროპული საქართველო“ ქუთაისის მერის პოსტზე გიორგი გოდაბრელიძის კანდიდატურის წარდგენას აპირებს. თუმცა ამ დროისთვის პარტიაში სხვა კანდიდატურებიც განიხილება და ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.
გიორგი გოდაბრელიძე თბილისის საკრებულოს წევრი იყო 2003–2004წლებში, ხოლო 2008-2012 წლებში - საქართველოს პარლამენტის წევრი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან". სხვადასხვა დროს მუშაობდა თბილისის მერიაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, იყო მინისტრის მოადგილე, ასევე საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

✔

ქუთაისის მერობის სავარაუდო კანდიდატთა სახელებს შორის „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის, ყოფილი ვიცე-გუბერნატორის გოჩა თევდორაძის სახელმაც გაიჟღერა, თუმცა ის თავად კატეგორიულად უარყოფს ამ ინფორმაციას და ამბობს, რომ ქუთაისის მერობა ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც არ ნდომებია. და მითუმეტეს ახლა, "ქართული ოცნების" იავარქმნილ სიტუაციაში, მე მერობას არ მოვისურვებ", - აცხადებს გოჩა თევდორაძე მედიასთან საუბრისას. ამავე დროს, ადასტურებს, რომ "პატრიოტთა ალიანსი" კანდიდატებს დადგენილ ვადებში აუცილებლად დაასახელებს.

✔

რაც შეეხება მმართველ პარტიას, ბოლო დღეების ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ "ქართული ოცნება" მერის პოსტზე ქუთაისის მოქმედი მერის, შოთა მურღულიას კანდიდატურას წარადგენს. მანამდე განიხილებოდა იმერეთის ვიცე-გუბერნატორის, გიორგი ჭიღვარიას კანდიდატურა, თუმცა, როგორც ჩანს, სიტაცია შეიცვალა.
კულარებში გავრცელდა ის ინფორმაციაც, თავად შოთა მურღულიას ქალაქის მერად მეორე ვადით არჩევის სურვილი დიდად არ აქვს. თუმცა, თვლის, რომ რიგითი ჯარისკაცია და მზად არის, ქვეყანას ემსახუროს.

✔

**საბოლოოდ, როგორი იქნება ქუთაისის მერობის კანდიდატთა სრული სია, ეს ალბათ აგვისტოს ბოლომდე გახდება ცნობილი, მანამდე კი ყველა პოლიტიკურ პარტიაში, ფაქტობრივად, კონსულტაციები მიმდინარეობს და სხვადასხვა ვერსიები განიხილება.**

**ნათა გულბანი**

# ქალებისა და მამაკაცების ფუნქციები და როლები ოჯახში

„ეისითი“-ს და ტელეკომპანია „იმედის“ მიერ ინიცირებული ერთობლივი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ შერეულ ოჯახებში (სადაც წარმოდგენილები არიან ზრდასრული ქალები და მამაკაცები) საოჯახო საქმეების უმეტეს ნაწილს ქალები ასრულებენ, მამაკაცების მონაწილეობის გარეშე. ამ მხრივ ყველაზე გამოკვეთილი საქმიანობებია სარეცხის რეცხვა და დაუთოვება - ოჯახების 90-90%-ში სწორედ ქალები აკეთებენ.



მამაკაცები ქალებს უწევენ დახმარებას ისეთ საქმიანობებში, როგორებიცაა ჭურჭლის რეცხვა, სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება - ოჯახების 18%-24%-ის შემთხვევაში ამ საქმიანობების შესრულებისას ქალებს მამაკაცები ეხმარებიან.

თბილისის ოჯახებში როლები თანაბრად ნაწილდება ისეთი საქმიანობისთვის, როგორიცაა ოჯახის საკვებით მომარაგება - ოჯახების 39%-ის შემთხვევაში აღნიშნულ საქმიანობას თანაბრად ასრულებენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები.

და ბოლოს, წვრილ სახელოსნო სამუშაოებს ოჯახების 43%-ში მამაკაცი იღებს საკუთარ თავზე. თუმცა აღნიშნულ საქმიანობაშიც ქალების წვლილი საკმაოდ მაღალია - 57%-ში ქალები ნაწილობრივ მაინც მონაწილეობენ / ეხმარებიან მამაკაცებს.

გთხოვთ მითხრათ, ბოლო 1 წლის გათვალისწინებით თქვენს ოჯახში ვინ არის ჩართული შემდეგ საოჯახო საქმეებში ძირითადად **(ცხრილი 1):**

"ეისითი" და "იმედის დღე" ასევე დაინტერესდა თბილისელების აზრით, თუ როგორ უნდა იყოს განაწილებული საოჯახო საქმეების შესრულებაში ქალებისა და მამაკაცების ფუნქციები. შეიძლება ითქვას, რომ თბილისელთა წარმოდგენები და მათი რეალური ცხოვრების წესი ფაქტიურად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუ დღესდღეობით საოჯახო საქმეების დიდი ნაწილი ძირითადად მხოლოდ ქალის მიერ სრულდება, რესპონდენტები ფიქრობენ, რომ საოჯახო საქმეებში ჩართულობა უფრო მეტად თანაბარი უნდა გახდეს.

ქალის და კაცის თანაბარი ჩართულობა ყველაზე მეტად სასურველად მიაჩნიათ ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებში - ბავშვის გასეირნება/გართობა (87% - თანაბრად) და ბავშვის ბაღის / სასკოლო საკითხები (72% - თანაბრად). თუმცა საინტერესოა, რომ ბავშვის მოვლის (ჭამა, დაბანა) საკითხები თბილისელთა აზრით, შედარებით მეტად ქალის პასუხისმგებლობაა - 53% ფიქრობს, რომ ქალმა უნდა შეასრულოს (მამაკაცის დახმარებითაც), ხოლო 47% თანაბარი ჩართულობის მომხრეა.

საჭმლის მომზადება და სახლის დალაგება ეს ის საქმეებია, რომელთა შემსრულებლადაც თბილისელები ყველაზე მეტად ქალებს ხედავენ. თუმცა საინტერესოა, რომ გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამ პროცესში კაცის მხრიდან დახმარების გაწევასაც ისურვებდა. ხოლო თანაბარი ჩართულობის მომხრეთა წილი ასევე საკმაოდ მაღალია იმასთან შედარებით, ვინც რეალურად თანაბრად ასრულებს აღნიშნულ ფუნქციებს.

ოჯახის საკვებით მომარაგება თანაბრად უნდა მოხდეს კაცის და ქალის მიერ გამოკითხულთა 54:-ის მიერ. თბილისელთა აზრით, ეს საქმიანობა არ შედის გამოკვეთილად რომელიმე სქესის წარმომადგენელთა მოვალეობაში.

და ბოლოს, მამაკაცების ჩართულობას ყველაზე მეტად წვრილ სახელოსნო სამუშაოებში ხედავენ - 71%-ის აზრით, მამაკაცები უნდა ასრულებდნენ, თუმცა ქალების ჩართულობის აუცილებლობას ამ შემთხვევაშიც ხედავს გამოკითხულთა 65%.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რეალური სურათისგან განსხვავებით თბილისელები უფრო მეტად თანაბარი ჩართულობისკენ იხრებიან, მამაკაცს რომელიმე საქმიანობის ერთპიროვნულ შემსრულებლად ნაკლებად ხედავენ ქალისგან განსხვავებით, რომელიც კონკრეტული საქმიანობების შემსრულებელ პირად დღესდღეობითაც რჩება - ეს არის სახლის დალაგება და საჭმლის მომზადება.

**(ცხრილი 2)**

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ ოჯახურ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ქალები და მამაკაცები თანაბარი ჩართულობით იღებენ. თუმცა საგულისხმოა, რომ ქალები უფრო მეტად წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა მცირე შენაძენების გაკეთება და ბავშვისთვის სკოლის / ბაღის შერჩევა, ხოლო მამაკაცები შედარებით მეტად იღებენ ოჯახის ფინანსების მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, ვიდრე ქალები.

**(ცხრილი 3)**

კვლევის შედეგად ასევე იკვეთება, რომ შერეულ ოჯახებში ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი პროცენტულად მამაკაცზე უფრო მოდის. პროცენტული განაწილება შემდეგნაირია - საშუალოდ 65% მოდის მამაკაცებზე, ხოლო 35% საშუალოდ ქალებზე.

**(ცხრილი 4)**

ქალის და კაცის, როგორც ოჯახის შემომტანის მიმართ დამოკიდებულებები

„ეისითი“ დაინტერესდა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ თბილისელებს ცოლ-ქმარს შორის ფინანსური ფუნქციების გადანაწილებასთან დაკავშირებით. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთათვის ყველაზე მისაღები მოდელებია ერთის მხრივ, როდესაც ცოლ-ქმარს შორის ქალს და კაცს ერთნაირი შემოსავალი აქვთ, ხოლო მეორე მხრივ, როდესაც მამაკაცს ქალზე მეტი აქვს შემოსავალი - ეს ორივე მოდელი ერთნაირად მისაღები აღმოჩნდა გამოკითხულთათვის. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ასევე თვლის, რომ მათთვის მისაღებია, როდესაც ოჯახში შემომტანი მხოლოდ მამაკაცია.

როგორც ირკვევა, თბილისის მაცხოვრებლები მამაკაცს უფრო აკისრებენ ოჯახში მატერიალურ პასუხისმგებლობას. ყველაზე ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა მოდელი, როდესაც ოჯახში მხოლოდ ქალია შემომტანი, ასევე როდესაც ქალს უფრო მეტი აქვს შემოსავალი, ვიდრე მამაკაცს - ეს უკანასკნელი ფაქტი მხოლოდ 41%-ისთვის არის მისაღები.

**(ცხრილი 5)**

*გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის გზით 400 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2017 წლის 16-დან 19 ივნისამდე პერიოდში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4.9%-ს. გამოყენებული მეთოდი – პირისპირ ინტერვიუ.

**(ცხრილი 6)**

*გამოკითხვა ჩატარდა შემთხვევითი შერჩევის გზით 400 ზრდასრულ თბილისის მოსახლეს შორის, 2017 წლის 16-დან 19 ივნისამდე პერიოდში. მონაცემთა სტატისტიკური ცდომილება არ აღემატება 4.9%-ს. გამოყენებული მეთოდი – პირისპირ ინტერვიუ.

## ცხრილი 1




*N=311 შერეული ოჯახების რესპონდენტები*

## ცხრილი 2

*თქვენი აზრით, ვინ უფრო უნდა იყოს ჩართული შემდეგი ტიპის საქმეებში - ქალი თუ კაცი?*




*N=403 სრული შერჩევითი ერთობლიობა*

## ცხრილი 3

*ბოლო 1 წლის მანძილზე თქვენს ოჯახში ვინ იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საოჯახო საკითხებზე - ქალი თუ კაცი?*




*N=311 შერეული ოჯახების რესპონდენტები*

## ცხრილი 4

*ბოლო 6 თვის მანძილზე, თქვენი ოჯახის შემოსავლის რა პროცენტი მოდის მამაკაცებზე და რა პროცენტი ქალებზე ყოველთვიურად საშუალოდ?*




## ცხრილი 5




*N=403 სრული შერჩევითი ერთობლიობა*

## ცხრილი 6




დამოუკიდებელი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ P.S.
**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე • **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი • **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37ა • (0 431) 24-45-46. • psnews27@gmail.com • www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.**
**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**